

კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების კანონთა მიმართებანი ბიბლიურ წიგნებთან და მათი ასახვა იადგარისეულ ქართულ თარგმანებში

ქრისტიანული ღვთისმსახურების წიაღში ჩამოყალიბებულ საეკლესიო საგალობლებს სამართლიანად თვლიან მკვლევარნი (ე. ბეკი, ნ. ტომადაკისი, თ. ქსიდესი, ე. ბიჩკოვი და სხვა) მხატვრულ პოეტურ ქმნილებებად. პიმნოგრაფია ვერდნობა და იყენებს ბიბლიურ სიუჟეტებსა და სახეებს. თავად პიმნოგრაფის ინდივიდუალიზმი კი გამოიხატება იმაში, თუ როგორ ინტერპრეტაციით წარმოადგენს იგი ამ სახეებს. ბიზანტიური პიმნოგრაფიული კანონისა თუ უფრო აღრული კონტაქციონის წაკითხვისას აშკარად ჩანს, რომ ავტორი ძველი და ახალი აღთქმის წიგნების თემატიკას იმეორებს. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს ფაქტი საუფლო დღესასწაულებისადმი მიძღვნილ საგალობლებში.

საეკლესიო პოეზიის წარმოშობას, ბუნებრივია, თავისი მიზანი და ფუნქცია ჰქონდა. ბიბლიური სიბრძნის შემცენებისაკენ სწრაფვამ განაპირობა პოეტურ-მუსიკალური აზროვნების ჩამოყალიბება.¹ მისი განვითარება ღვთისმეტყველება იყო ბიზანტიურ ტრადიციაში, რადგანაც მას წინ უსწრებდა, ერთი მხრივ, ანტიკურ პოეზიის მდიდარი მემკვიდრეობა, მეორე მხრივ კი, ძველი აღთქმის ფსალმუნის არსებობა, რამაც ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ქრისტიანულ ლიტურგიკაში საგალობლის დასამკვიდრებლად. ამის შესაბამისად, მეცნიერთა შორის არსებობს განსხვავებული მოსაზრებანი ქრისტიანული საგალობლის წარმოშობის შესახებ. ზოგი მკვლევარი მასში სირიული გალობის და ფსალმუნის ანარეკლს ხედავს (ე. ევლემი, პ. ხრისტოსი), მკვლევართა გარკვეული ნაწილი კი ბიზანტიურ გალობაში (ნ. ტომადაკისი, თ. დეტორაკისი) ანტიკური ბერძნული პოეზიის ელემენტებსაც გამოყოფს. ამ თეორიათა შესახებ მსჯელობა ჩვენს მიზანი არ არის. ამჯერად აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მხატვრული სახეებით ანუ პოეტური აზროვნება ქრისტიანულ ლიტურგურაში ყველაზე მკაფიოდ საეკლესიო საგალობლით გამოიხატა, სწორედ ამიტომ იწოდება იგი პოეტურ ქმნილებად, რომ არაფერი ვთქვათ საგალობლის ფორმასზე, მის რიტმულ და მეტრულ სახეზე, რომლის არსებობაც დიდი ხანია უკვე საკამათო აღარ არის.

ღვთისმსახურების მთელი სიტყვიერი ინფორმაცია ბიზანტიური საგალობლის სახით მუსიკალურ-პოეტურ ფორმაში გაერთიანდა.² საეკლესიო პოეზიის ერთ-ერთი ფუნქცია ემოციურ-ესთეტიკური იყო. თავისებურად ხსნის საეკლესიო საგალობლის როლს იოანე ოქროპირი: „არაფერი ისე არ ამადლებს ადამიანის სულს, ასხამს მას ფრთებს, აშორებს მიწიერებას, ეხმარება ცხოვრებუხეული საგნების მოძულებაში, როგორც შეწყობილი მელოდია და რიტმით მართული ღვთაებრივი გალობა“.³

ესთეტიკური ფუნქციის გარდა საეკლესიო პოეზიას გნოსეოლოგიური ანუ შემცენებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. სწორედ ამ უკანასკნელმა განაპირობა ბიბლიურ სახე-სიმბოლოთა მხატვრული ინტერპრეტაციით წარმოდგენა, საერთოდ პოეტური ხატის შექმნა. გრიგოლ ნოსელის ნააზრვეის მიხედვით, სიტყვიერი ხელოვნებით გამოხატული პოეტური ხატით მკითხველმა უნდა განჭვრიტოს ამ სახის -ი (იდეა). აქედან გამომდინარე, გამომსახველობითი ხელოვნება ზოგადად და პოეზიაც, როგორც მისი ერთ-ერთი სახეობა, გრიგოლ ნოსელის მიერ მოიაზრება როგორც თავისუფალი ხელოვნება. სწორედ ეს თავისუფლება აძლევს უფლებას პიმნოგრაფს ბიბლიური მეტაფორა, სიმბოლო თუ სახე თავისებურ კონტექსტში წარმოადგინოს. ამგვარ მხატვრულ გამომსახველობას შედეგად მოჰყვება საკუთარი ფერებით დახატული, განუმეორებელი ინფორმაცია, რაც არის სწორედ შემცენებითი და ესთეტიკური ხელოვნება.⁴

¹ В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 54.

² В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 55.

³ В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 122.

⁴ В. В. Бычков. Византийская эстетика. 1977, стр. 142-153.

ამ თეორიული მსჯელობის ფონზე განვიხილავთ კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულებსადაც მიძღვნილი კანონების მიმართებებს ბიბლიური წიგნების ტექსტებთან. მიმართებებს წარმოვადგენთ ყოველი კანონის მიხედვით ცალ-ცალკე, განვიხილავთ კანონთა მხოლოდ იმ ტროპარებს, რომლებიც საინტერესო სურათს გვჩვენებენ ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებისა და სახეების განმარტებისა თუ მხატვრული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. აქვე შევნიშნავთ, რომ არსებობს თოვლორე პროდრომოსის კომენტარები კოზმა იერუსალიმელის შობისა და განცხადების კანონთა შესახებ. პოეტური ტროპარების ზოგიერთი როული ადგილის გასაგებად მოვიხილოთ ამ კომენტარებსაც.

ჩვენს კვლევის ერთ-ერთი ასპექტია პიმნოგრაფიისა და ბიბლიური სახეების ურთიერთმიმართებებზე დაკვირვება და, ამავე დროს ისიც, თუ როგორ აისახა კანონთა ქართულ თარგმანებში ეს მიმართულებანი. როგორც კანონთა ტექსტების თარგმანების დედნებთან შედარებითი კვლევისას გამოჩნდა, მთარგმნელი რიგ შემთხვევაში ზუსტად იმეორებს ბერძნული დედნის სახეებს, სოგჯერ კი თავისებურად ცვლის. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო საინტერესოდ გვეჩვენება სამხრეთი დამოკიდებულება კოზმას ტექსტისა ბიბლიურ წიგნებთან, კანონის ქართული თარგმანის მიმართება შესაბამის ორიგინალთან და თვით ქართული თარგმანისავე დამოკიდებულება ბიბლიურ წიგნებთან. იმისთვის, რომ სწორად წარმოვიდგინოთ კოზმას კანონებში რა არის ბიბლიური წიგნებიდან აღებული და რა თავად პიმნოგრაფის პოეტური შემოქმედების ნაყოფი, საჭიროა წარმოვინიშნოთ, თუ როგორი მხატვრული თავისებურებებით ხასიათდება კოზმას პოეზია ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული ესთეტიკურ-შემეცნებითი ფუნქციის მიხედვით. ამის საფუძველზე კი ნათლად გამოჩნდება ქართული მთარგმნელის დამოკიდებულება კანონების დედნებთან. აისახა თუ არა თარგმანებში ადგილობრივად ბიბლიური წიგნებისა და კოზმას პიმნოგრაფიის მხატვრული სახეები. კოზმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების კანონებს შესანიშნავად ახასიათებს თქმისთვის, როცა წერს: „პიმნოგრაფი (კოზმა) იღებს წმინდა წერილის საღმრთო სიბრძნეს და განაბნევს მას ცალკეულ კანონებში, რაც ქმნის საერთო თემის მთელი კანონისთვის, ხოლო ამ თემის სხვადასხვა დეტალს ამუშავებს ოდების ფარგლებში“.⁵

ამრიგად, ძირითადი ღერძი კოზმას პოეზიისა არის სახარებისეული თემატიკის გადამუშავება. რაც შეეხება მის მხატვრულ სახეებს, მათ ერთი შეხედვით არც გარკვეული და არც შინაგანი მოკაზმულობა არ ახასიათებთ.⁶ ამ შეფასებაში იგულისხმება ის, რომ კოზმა წმინდა წერილის სახეებსა და სიუჟეტებს კი არ ცვლის ტექსტობრივად, არამედ სრულიად სხვა ხერხით სძენს მას თავისებურ პოეტურობას. უმთავრესი პრინციპი არის უმოსაო ხატის ამოძრავება, ან მოელენის ფერწერული დასახიათება, რთაც მიიღწევა სწორედ ესთეტიკური და შემეცნებითი სახის შექმნა. ეს თავისებურება შეინიშნება ყველა საუფლო დღესასწაულის კანონში. ამგვარ შემთხვევებს წარმოვადგენთ ცალკეული კანონების ტროპართა მიხედვით. კოზმას საუფლო დღესასწაულების კანონთა მიმართებები ბიბლიურ წიგნებთან აღნიშნული აქვს კლოვიავინსაც. ამ მიმართებათა ანალიზისას ვიყენებთ მეცნიერის ზემოთ აღნიშნულ ნაშრომს.

შობის კანონი

მთელი კანონის ცალკეულ ოდებში, როგორც კანონის თარგმანის განხილვისას აღვნიშნეთ, მაკცხოვრის შობის თემის კარაოციანს ეხედებით. პირველ ოდაში გადმოცემულია ქრისტეს განკაცების მესიანისტური არსი, რაც ხატოვანი სურათებით არის წარმოსახული. აქ დოგმატური შინაარსი პოეტური ხატების საშუალებით გამოიხატება⁷ ე. ლოვიავინის დაკვირვებით ტროპართა შინაარსი ემეარება იოანეს სახარებისა და პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლეს.⁸

⁵ შინიძე თ. შინიძე თ., *Византийский Иерусалим*. Аθήна, 1978, 13.

⁶ შინიძე თ. 23.

⁷ შინიძე თ. 10.

⁸ E. Ловягин. *Богослужбные каноны на греческом, славянском и русском языках*, СПб., 1875.

ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანებისთვის ეხარგებლობთ შემდეგი გამოცემებით:

ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია. კომენტარები დაუთრო ივ. იმნაშვილმა. 1979.

პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსაცემად მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ. აკაკი შანიძის რედაქციით. 1974.

ფსადოზინის ძველი ქართული რედაქციები (X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით). შხ. შანიძე, 1960. მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტყ. სიბრძნე სოლომონისი, ქება ქებათა სოლომონისი, წინასწარმეტყველთა წიგნები: ესაია, იერემია, ბარუქა, ეზეკიელი) გამოსაცემად მოამზადა ელ. დონაშვილმა. 1985.

მოციქვანთ ახალი აღთქმის წიგნების ციტატებს და შევადარებთ მათ კოზმას ტროპარებს.
Και ὁ λόγος σάρξ ἐγένετο καὶ ἐσκήνωσεν ἐν ἡμῖν, καὶ ἐθεασάμεθα τὴν δόξαν αὐτοῦ, δόξαν ὡς μοιουγεῖοις παρὰ Πατρός, πλήρης χάριτος καὶ ἀληθείας.

და სიტყვა იგი ჳორციელ-იქმნა და დაემკვდრა ჩუენ ჳორის, და ეიხილეთ დიდებამ მისი, დიდებამ, ეითარცა მხოლოდ-შობილისამ მამისა მიერ, ხავე მადლითა და ჳეშმარიტებითა (იოან. 1,14)

- 1) Ἴδων ὁ Κτίστης ὀλλύμενον./τόν ἀνθρώπον, χερσῖν ὄν ἐποίησε./κλίνας
ὀύρανους κατέρχεται./τοῦτον δὲ ἐκ Παρθένου θείας ἀγῆς./ ὄλον οὐσιούται, ἀληθεία σαρκωθείς, ὅτι
δεδόξασται (11)

რაჲამს იხილა შემოქმედმან

ჳრწინილებასა შინა კაცო, რომელი

ჳელითა თვისითა შეექმნა, ამან ცანი მოდრიკნა,

გარდამოჳდა

და ქალწულისაგან

ჳეშმარიტად განკაცნა, რამეთუ დიდებულ არს.

თემატურად სახარების მუხლი და კოზმას ტროპარი ერთნაირია. ორივე მათგანი მაცხოვრის განკაცებას გადმოსცემს, მხოლოდ კოზმა სახარების შინაარსს საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცემს: Ἴδων ὁ Κτίστης ὀλλύμενον, τὸν ἀνθρώπον, χερσῖν ὄν ἐποίησα~ (რაჲამს იხილა შემოქმედმან / ჳრწინილებასა შინა კაცო, რომელი / ჳელითა თვისითა შეექმნა)

პაულე მოციქულის ეპისტოლის თაეისებური ინტერპრეტაცია ჩანს შემდეგ ტროპარში.

Ἄλλα λαοῦμεν Θεοῦ σοφίαν ἐν μυστηρίῳ, τὴν ἀποκεκρυμμένην ἢ προῶρισεν ὁ Θεός πρὸ τῶν αἰῶνων ἐ ἰς δόξαν ἡμῶν (I korinT. 2,7)

არამედ ეტყჳ სიბრძენსა ღმრთისასა საიდუმლოდ დაფარულსა მას, რომელ-იგი პირველადეე განიინა ღმერთმან უწინარეს საუკუნეთა სადიდებულად ჩუენდა.

- 2) Σοφία, Λόγος καὶ Δύναμις Ἰϋός ἄν τοῦ Πατρός καὶ ἀπαύγασμα./ Χριστός ὁ Θεός, δυνάμεις λαθῶν, ἴσσης ὑπε
ρκοσμίους, ὅσας ἐν γῆ καὶ ἐνανθρώπησας/
ἀνεκτήσατο ἡμᾶς, ὅτι δεδόξασται (12)

სიბრძნე ღმრთისამ და ძალი მისი

სიტყუად მამისად და ბრწყინეალებად მისი,

იჳ მხოლოდ, ღმერთი ჳეშმარიტი, საიდუმლოდ ძალთაგან

სეცისათა

კუალად დამბადებს ჩუენ

ქალწულისა მუცელსა, რამეთუ დიდებულ არს.

ეპისტოლეში საუბარია უფლის სიტყვის განხორციელების საიდუმლოზე, რომელიც ქრისტეს შობით გაცხადდა. კოზმას ტროპარში კი განმარტებულია ეპისტოლის შინაარსი. აქ ჩანს განკაცებული უფალი, როგორც `Σοφία, Λόγος καὶ Δύναμις Ἰϋός ἄν τοῦ Πατρός καὶ ἀπαύγασμα~ (სიბრძნე ღმრთისად და ძალი მისი / სიტყუად მამისად და ბრწყინეალებად მისი) თეოდორე პროდრომოსი ამ ფრანაში ებრაელთა მიმართ ეპისტოლის შემდეგი ადგილის ἔς ἄν ἀπαύγασμα τῆς δόξης~ (ებრ. 1,3) ანარეკლს ხედავს.

ქართული თარგმანი ტროპარისა მისდავს კოზმას ტექსტს.

ჩუენი ახრით, შათეს სახარების ტექსტის საინტერესო ვარიაცია ჩანს კანონის IV ოდის მეორე ტროპარში: /

- 3) τοῦ μάντεις πάλαι Βαλαάμ τῶν λόγων μνητᾶς σοφοῦς./ἀσπεροκόπους χάρας ἐπλησας, ἀστήρ ἐκ τοῦ Ἰακῶβ ἀνατείλας Δέσποτα, ἐθῶν ἀπαρχὴν εἰσαγομῆνοῦς, ἐδέξαι δὲ προφανῶς./ δόξα τῇ δυνάμει σοῦ, Κύριε (IV2).

ეითარცა პირველ ბალაამი,

იყენეს მოგუნი მოწვევულ სიბრძენსა მას ვარსკულაეთ

რიცხუეისასა, ხოლო შენ ახარე მათ, რამეთუ გამოჰბრწყინდი

ვარსკვლავი იაკობისაგან ქრისტე და წარმართნი შემოკრიბენ.

მოვიყვანთ სახარების მუხლს:

"Ἰδοντες τε τὸν ἀστέρᾳ ἐχάρησαν χαρὰν μεγάλην σφόδρα (მატ. 2, 10-11)

ხოლო მათ ეითარცა ისიღეს ეარსკვლავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

სახარების ამ ეპიზოდში საუბარია ვარსკვლავზე, რომელიც წინ უძღვოდა მაცხოვრის შობის აღვიდისკენ მიმავალ მოგებებს. კოსმას ტროპარში ამ ვარსკვლავს სიმბოლური დატირთვა აქვს. იგი არის სახე თვით მაცხოვრისა, რაც კარგად ნანს შემდეგ ტაეპში ἄστηρ ἐκ τοῦ Ἰακώβ ἀνατείλας Δέσποτα~ (გამოპრეწინდი ვარსკვლავი იაკობისაგან ქრისტე).

ყველა განხილული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ქართველი თარგმანი იმლორებს დედნის ტექსტის მიმართებებს ბიბლიურ სიუჟეტებთან და არაეითარი ცვლილება არ შეაქვს.

ახლა მოვიყვანთ თარგმანის ისეთ შემთხვევებს, რომლებიც რამდენადმე სხვაობენ დედნისაგან.

- 4) Ἰδὸν ἡ Παρθένος ὡς πάλοι φησίν./ ἐν γὰστρι συλλαβίονσα ἐκύησε Θεὸν ἐνανθρωπήσαντα καὶ μένει Παρθένος/ დ' ἦς καταλλαγέντες Θεῷ οἱ ἄμαρτολοῖ, Θεοτόκου κυρίως /ὄνσαν ἐν πίστει ἀνυμῆσαιμεν (Vz)

ესერა

ქალწული მიუდგა და შვა,

ეითარცა თქუა პირველად ესაია,

ღმერთი ძლიერი და ჯელმწიფჳ ძედ მოგუეცა ნუენ და მშობელი დაადგრა ქალწულად საუკუნოდ და მან დამაგნა ღმერთსა.

ქართული თარგმანი აკონკრეტებს წინასწარმეტყველებას „თქუა ესაია“. ე.ი. აქ აშკარად მითითებულია, ძველი აღთქმის რომელ წინასწარმეტყველებას ეყრდნობა პიმნოგრაფი.

Διὰ τοῦτο δῶσαι κύριος αὐτόσ ἐμὲν ἰδὸν ἡ παρθένος ἐν γὰστρι ἔξει καὶ τέξεται ὑδὸν καὶ καλέσεισ τό ὄνομα αὐτόν Ἐμμανούηλ (esaja 7,11)

ამისთვის მოგუეცეს უფალმან სასწაული: აჰ, ესერა, ქალწულმან მუცლად-ილოს და შვეს ძე და უწოდოს სახელი მისი ემანიუელ.

ეს ფაქტი ნიმუშია იმისა, რომ ქართველი მთარგმნელი ითვალისწინებს კოსმას ტექსტების ბიბლიურ საფუძველს და თარგმანშივე აღნიშნავს ამას.

ესაიას წინასწარმეტყველების გარდა ამ ტროპარში მკლევარნი ეხეიკელის წინასწარმეტყველების ანარეკლსაც ხვდავენ.

καὶ εἶπευ Κύριος πρὸς με Η πύλη αὐτῆ κεκλεισμένη, ἔσται οὐκ ἀνοιχθήσεται καὶ οὐδείς μῆ διέλθῃ δι' αὐτῆς, ὅτι ὁ Θεὸς τοῦ Ἰσραῆλ σισελεύσεται. αὐτῆς καὶ ἔσται κεκλεισμένη (iez. 44,2)

და მრქუა უფალმან: ბჭე ესე და დაჯშულ იყოს და არა განედოს და არცა განეიდეს მის მიერ, რამეთუ უფალი ღმერთი ისრაელისა შეეიდეს მიერ და იყოს დაჯშულ.

კოსმას ტროპარი ერთგვარი პასუხია ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებისა. ბიბლიის მეტაფორას, Ἡ πύλη αὐτῆ κεκλεισμένη~ (ბჭე დაჯშულ) ტროპარში შეესაბამება Ἡ Παρθένος~ (ქალწული).

ქართველი მთარგმნელი, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, აერცობს კანონის ტექსტს და შესაბამისად ძველი აღთქმის ციტატაც გაერცობილია და განმარტებული პენდიადისით. ბიბლიური ფრაზის ქართულ თარგმანში დედნის Ἐὸς τοῦ Ἰσραῆლ~ გადმოდებულია როგორც „უფალი ღმერთი ისრაელისა, დედნის სიტყვებს ემატება „უფალი“. ანალოგიური მაგალითი გვაქვს კოსმას ტროპარის თარგმანშიც. ბერძნული დედნის ერთ სიტყვას „Κύριος“ ქართულში მთელი წინადადება ენაცვლება; „ღმერთი ძლიერი და ჯელმწიფჳ ძედ მოგუეცა ნუენ“.

ასეთივე თავისებურებას გვიჩვენებს VI ოდის მეორე ტროპარის თარგმანი. დედნის ტროპარში არ არის მითითებული, რომ მასში გადმოცემული შინაარსი ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებას ეყრდნობა, ქართველი მთარგმნელი კი ნაურთავს ორ ტაეპს, რომლითაც კონკრეტულად მითითებებს წინასწარმეტყველებაზე. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ტროპარის ტექსტსა და მის თარგმანს:

- 5) Νεὸν ἐξ Ἀδάμ παιδίον φαρμάτος,/ ἐτέχθη ὕιὸς καὶ πιστοῖς δέδωται τοῦ δέμέλλουτος οὐτόσ ἔστιν αἰῶνος Πατὴρ καὶ ἀρχαυ./ καὶ καλεῖται τῆς μεγάλης βουλῆς Ἄγγελος /οἴμοτς ἰσχυρός Θεὸς ἔστι, καὶ κρατῶν ἔξουσι q τῆς κτίσεως(Vz)

მოგუესწავა ნუენ

პირველთაგან წერილთა

ახალი ყრმა ადამის ბუნებისა, რომელ-იგი არს მერმეთა მათ საუკუნეთა მთავარი, ღმერთი ძლიერი და ხელმწიფე გამოგვხნდა,

ესე დაშვადებული დაბადებულთა

და დაშვადებული დაბადებულთა

ქართული თარგმანის ფრაზას „მოგუესწავა ჩვენ/პირველთაგან წერილთა“ ბერძნულ დედანში შესატყვისი არა აქვს. კოსმას ეს ტროპარიც ესაიას წინასწარმეტყველების ინტერპრეტაციაა:

ὅτι παιδίον ἔγειρηθὶ ἡμῖν, υἱὸς καὶ ἔδωθὲ ἡμῖν, οὐ ἡ ἀρχὴ ἔγειρηθὲ ἐπὶ τοῦ ἄμου αὐτοῦ, καὶ καλεῖται τὸ ὄνομα αὐτοῦ Μεγάλης βουλῆς Ἁγγελος ἔγω γὰρ ἄνω εἰρήνην ἐπὶ τοὺς ἀρχοντας, εἰρήνην καὶ ὑγίαιαν ἀνθρώποις (esai 9,6).

რამეთუ ყრმა იშვა ჩვენდა ძე, და მოგუეცა, რომლისა მთავრობად იყო მკარსა მისთა და პრქვან სახელი მისი დიდისა სრახეისა ანგელოზ, საკრცულ თანამზრახი, ღმერთი ძლიერი, ხელმწიფე, მთავარი მშველობისა, მამად მერმისა საუკუნისა.

კოსმას ტროპარში ბიბლიური ფრაზის სუსტ ციტაციას ეხედებით καὶ καλεῖται τὸ ὄνομα αὐτοῦ Μεγάλης βουλῆς Ἁγγελος~ ქართულ თარგმანში აღნიშნული ფრაზა უგულებელყოფილია, მთარგმნელი ბიბლიურ ციტატას არ იმეორებს.

შობის კანონის ორ ტროპარში ლუკას სახარების ტექსტი შემოკლებულად არის გადმოცემული. მოვიყვანო სახარების მუხლების ბერძნულ ტექსტს ქართულ თარგმანებთან ერთად და შევადარებთ კოსმას ტროპარებს:

καὶ ποιμένες ἦσαν ἐν τῇ χώρα τῇ αὐτῇ ἀγρασλοῦντες καὶ φυλάσσοντες φυλακὰς τῆς υακτὸς ἐπὶ τῆν ποιμνίην αὐτῶν. καὶ ἄγγελος Κυρίου ἐπέστη αὐτοῖς καὶ δόξα Κυρίου περιέλαψεν αὐτούς, καὶ ἐφοβήθησαν φόβον μέγαν (ლუკ. 2, 8-10).

καὶ ἔξαίφην ἐγένετο σὺν τῷ ἀγγέλῳ πλήθος στρατιᾶς οὐρανοῦ αἰνουντῶν τὸν Θεὸν καὶ λεγόντων Δόξα ἐν ὑψίστοις Θεῷ καὶ ἐπὶ γῆς εἰρήνη ἐν ἀνθρώποις εὐδοκία (ლუკ. 2, 13-14)

და მწყემსნი იყვნეს მასეე სოფელსა, ეელთა დგებოდეს და ჯუმილიედეს საჯუმილიესა ღამისსა სამწყესსა მათსა. და აბა, ანგელოზი უფლისა დაადგრა მათ სედა, და დიდება უფლისა გამოუბრწყინდა, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა.

და პრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აბა, ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოელისა ერისა. და მყესუელად იყო ანგელოზთა მის თანა სიძრაველ ერთა ცისათა, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებამ მალათა შინა ღმერთისა. და ქუეყანასა სედა იმშველობა, და კაცთა შორის სათნოება.

- 6) Ποιμένες ἀγρασλοῦντες ἐκπλαγυῖς φωτοφανείας ἔτυχον./ δόξα Κυρίου γὰρ αὐτοὺς περιέλαψε καὶ Ἁγγελος./ ἀσπυρήσατε, βῶν, ὅτι ἐτέχθη Χριστός./ ὁ τῶν πατέρων Θεός εὐλογητός εἶ (VII).
- 7) ἔξαφαινης σὺν τῷ λόγῳ τοῦ Ἁγγέλου./ οὐρανῶν στρατεύματα, δόξα, ἐκραύαζον./ Θεῷ ἐν ὑψίστοις, ἐπὶ γῆς εἰρήνη./ ἐν ἀνθρώποις εὐδοκία Χριστός ἔλαψεν./ ὁ τῶν πατέρων Θεός εὐλογητός εἶ (VII).

მწყემსთა უდაბნოდისთა,

ვითარცა გამოხნდა ნათელი,

განკვრებულნი მხედვიდეს,

ხოლო დიდებამან ღმრთისამან

ანგელოზისა მიერ ასწავა გალობად:

მამათა ჩვენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ.

სეცისა გუნდნი ესრეთ

მალლით გამო იტყოდეს ღაღადებით:

დიდება მალალსა ღმერთსა,

ქუეყანასა სედა მშველობად,

რამეთუ კაცთა შორის ქრისტე გამობრწყინდა,

რომელი-იგი არს ღმერთი საუკუნეთა.

კოსმას ტექსტი შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას სახარებისეულ მუხლებთან.

კანონის ტროპარში სახარების ზუსტი ციტაცია არის მოცემული 'Δόξα ἐν ἁγίοις Θεῷ καὶ ἐν γῆς εἰρήη ἐν ἀνθρώποις εὐδοκία'. ამ ტროპართა შინაარსის მხატვრულობასე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახილებს თქვიდესი. ზემოთ აღენიშნეთ, რომ შობის კანონის ამ ტროპარებში ღვთაებრივი სასწაულის მომლოდინე შობის დამა აღწერილი, „ღვთაებრივი სიწმე, მწყემსთა აგრიანია და შემდეგ ანგელოზთა გაღობა“. ეს ხატი მომდინარეობს სახარების შესაბამისი მუხლებიდან, რასაც მათი ტექსტობრივი შედარებაც ცხადყოფს. მიუხედავად ამისა, ტროპართა შინაარსის მხატვრულობის სიღრმის თვით კოსმა. ჩვენი დაკვირვებით პიმნოგრაფის მიერ შექმნილი ინდივიდუალური პოეტური შინაარსი ტროპარში განპირობებულია სიტყვით 'ἐκπαύσας' (განკვრელებული), რაც მწყემსთა განცდის გამოხატეულია. სწორედ ამის გამო იქნის მოტივანად სურათი სახარების ტექსტისაგან რამდენადმე განსხვავებულ ელფერს. კოსმას მხატვრულ შინაარსს უცვლელად იმეორებს ქართული თარგმანი.

ყურადღებას შევაჩერებთ VIII ოდის მეორე ტროპარზე.

- 8) Ὅργανα παρέκλυε τό πένθος ἄνδης./ οὐ γάρ ἦδον ἐν νόθοις οἱ παῖδες Σῶν/ Βαβυλῶνος λύει δε πλάτην πᾶσαν καὶ μουσικῶν ἄρμονίαν, /Βεθελέμ ἐξανατείλας Χριστός./ διὸ ἀνομνήστες ἀναμέλψαμεν εὐλογεῖτω ἡ κτίσις πᾶσα τὸν Κύριον./

каὶ περυσούτω εἰς πάντας τοὺς αἰῶνας (VIII).

ნესტუსა და ებნის კმანი ოკრიდეს,

შესხმისა ზარი განაფრთვობდა

გულსა მგლოვარეთასა,

ხოლო სიონისა ზეთა

შეურაცხეწეს განცხრომანი ბაბილოენელთანი

და ბეთლემისათა თანა იტყოდეს:

აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა.

თეოდორე პროდრომოსი ამ ტროპარში 136-ე ფსალმუნის 1-4 მუხლების გაველნას ხედავს და თავად ვრცელ კომენტარს უტდენის მას⁹. ფსალმუნის ტექსტში გადმოცემულია ბაბილონის ტყვეობაში მყოფ სიონის ძეთა გოდება.

ἐν τῶν ποταμῶν Βαβυλῶνος ἐκεῖ ἐκάθισαμεν καὶ ἐκλαύσαμεν ἐν τῷ μνησθῆναι ἡμᾶς τὴν Σῶν. ε

ἢ τί ταῖς ἰτεαῖς ἐν μέσῳ αὐτῆς ἐκρεμάσαμεν τὰ ὄργανα ἡμᾶς. ὅτι ἐκεῖ ἐτηρώθησαν ἡμᾶς οἱ αἰχμαλωτῆρ σαιτες ἡμᾶς λόγους ἄνδων. καὶ οἱ ἀπαγάγοντες ἡμᾶς ὕμνον "Αἰσατε ἡμῖν ἐκ τῶν ἄνδων Σῶν. πᾶς ἄσσαιε τὴν ἄνδρ κυρίου ἐν γῆς ἀλλυρίας (ფსალმ. 136, 1-4).

მდინარეთა ზედა ბაბილოენისათა მუნ დაეხედით და ეტიროდით, რაემს მოიხსენეთ ჩვენ სიონი. ძეწთა ზედა შორის მისთა მუნ დავკიდენით სავალბოელნი ჩუენნი, რამეთუ მუნ მკითხედეს ჩვენ წარმტყუენეელნი ჩუენნი სიტყუათა მათ ქებათასა და წარმკენებელნი ჩუენნი გალობასა: ევალობდეთ ჩვენ გალობათა მათგან სიონისათა, ვითარმედ ევალობდეთ გალობასა უფლისასა ქუენასა უცხოხასა.

თეოდორე პროდრომოსის კომენტარის მიხედვით, ფსალმუნისეული „სიონის ძეთა მწუხარება განაქარეა ბეთლემიდან გამობრწყინებულმა მსხნელმა. ქრისტეს შობით განქარდა ბაბილონელთა ცდომილება სწორედ სიონის მეუფების ქვეშ“. პროდრომოსის კომენტარს დავერატებთ, რომ კოსმას ტროპარში ფსალმუნის ტექსტის შინაარსით არის გადმოცემული განაკეებული მაცხოვრის მიმართ გალობა. ფსალმუნის დამწუხრებელი, ტყვექმნილი სიონის ძენი აწ მხიარულებას მოუცავენ, რადგან ხორციელად იშუა ღმერთი. ფსალმუნისა და ტროპარის ამგვარი შინაარსობრივი მიმართება ქართულ თარგმანში, დედნის ტროპართან შედარებით, შემოკლებულად არის გადმოცემული. მიუხედავად ამისა, ფსალმუნის ანარეკლი თარგმანშიც შენარჩუნებულია. უფრო ზუსტად შეიძლება ითქვას, რომ თეოდორე პროდრომოსის კომენტარს შესანიშნავად უპასუხებს ტროპარის ქართული თარგმანი: „ხოლო სიონის ძეთა / შეურაცხეწეს განცხრომანი ბაბილოენელთანი / და ბეთლემისა თანა იტყოდეს: აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა“.

⁹ Theodore Prodromos. Commentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 90.

განცხადების კანონი

კოსმას ამ კანონსაც უძღვნა თოვლორე პროლოგომოსმა კომენტარები. იგი, პირველ ყოვლისა, პიმნოგრაფიული კანონის ტექსტის განხილვისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკროსტიქს, რომელშიც მთელი კანონის შინაარსი მოკლედ არის გადმოცემული. პროლოგომოსი განცხადების კანონის აკროსტიქს „Βάπτισμα ῥύψις γήγειρον ἀμαρτάνος“ ცალკე განმარტებას უძღვნის და მიაჩნია, რომ მისი შინაარსი გრივოლ ლეთისმეტყველის სიტყვების სიტყვათა, ἀλλὰ κἀθῆρεν ἀμαρτάνος (განიბანე, რათა განიწმინდო ცოდვითაგან) განვლენით არის დაწერილი. ქრისტეს ნათლისღება ადამიანის ცოდვიანი ბუნების განწმენდას ნიშნავს¹⁰.

კანონის ტროპარები სხვადასხვანაირად იმეორებენ ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტებს. კანონის I ოდის პირველ ტროპარში 73-ე ფსალმუნის 13-14 მუხლების საინტერესო ანალოგიას ეხედებით.

- 1) Ἴδ' ἀμὰ τὸν φθαρῆντα ἀναπλάττει ῥείθριος Ἰορδάνου, / καὶ δρακόντας κεφαλὰς ἐμφαλεῦσ' ἄνω διαθλάττει, / ὁ Βασιλεὺς τῶν αἰῶνων Κύριος, ὅτι δεδόξασται (1)

ადამ განტრწნილი განაახლა დღეს

წყალთა შინა იორდანისათა

და თავი ეწმინდა და მამაღვლი მათ შინა

შემუსრა ძლიერმან უფალმან, რამეთუ დიდებულ არს.

Σὺ ἐκραταίωσας ἐν τῇ δυνάμει σὸν τὴν θάλασσαν, σὺ συέτρυψας τὰς κεφαλὰς τῶν δρακόντων ἐπὶ τοῖν δράκοντος. Ἐδωκας αὐτὸν ῥάμα λαοῖς τοῖς Αἰθίοψιν (psalm. 73, 13-14)

შენ განამტკიცე ძალითა შენითა ზღუად, შენ შემუსრე თავები ეწმინდა წყალთა ზღუად, შენ შემუსრე თავი ეწმინდა მის და მიეც იგი საჭმელად ერსა მას ჰინდოეთისასა.

ის ასრი, რაც ფსალმუნშია გადმოცემული სახე-სიმბოლოებით „ზღვისა“ და „ეწმინდა“ სახით, გამომწვანდა კოსმას ტროპარში, ოღონდ აქ ამ სახეებს სხვაგვარი შინაარსი აქვთ. „წყალი“ არის ნათლისღების, ანუ განწმენდის სიმბოლო, ხოლო „ეწმინდა“ ადამიანური ცოდვის. ტროპარის ქართული თარგმანი ამ მხრივ რაიმე თავისებურებას არ გვიჩვენებს.

თოანეს სახარების 1-14 მუხლის განსხვავებულ ინტერპრეტაციას ეხედებით განცხადების კანონის I ოდის მეორე ტროპარში (შდრ. შობის კანონი).

- 2) Πυρὶ τῆς Θεότητος ἀύλα σάρκα ὑλικῆν ἠμφιεσαμένους Ἰορδάνου περιβάλλεται τὸ νῆμα ὁ σαρκωθείς ἐκ Παρθένου Κύριος. ὅτι δεδόξασται (1).

ნათელმან ღმრთისამან უსხეულომან

შეიმოსნა ჯორცნი ნივთიერნი

და შეიმოსნა წყალნი იორდანისანი,

რომელ არს მეუფე საუკუნოდ.

კოსმა მაცხოვრის განკაცების თემას ამ ტროპარში ამატებს ნათლისღების თემასაც და ამ მხრივ შობის კანონისაგან განსხვავებულ კონტექსტში წარმოადგენს.

სენი ასრით, მნიშვნელოვან თავისებურებას გვიჩვენებს IV ოდის ქართული თარგმანი მის ბერძნულ დეკანთან და პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ ეპისტოლეუსთან შედარებით. მოვიყვანთ პარალელურად ბერძნულ და ქართულ ტექსტებს:

- 3) Ῥυπτόμενον ἦλιος τις εἶδεν, / ὁ κηρῶν βοῶν, τὸν ἐκλαμπρον τῇ φύσει, ἵνα σε ἴδωσιν, ἀπαύγασμα τῆς δόξης, / Πατὴρ ἰσχυρὸς καὶ ἰσχυρὸς, καὶ χόρτος ἡ πυρὶ ψαύσῃ τῆς σῆς Θεότητος, σὺ γὰρ εἶ Χριστὸς, Θεὸς ὁ οφθαλμοὶ καὶ δυνάμεις (IV1).

მსმ განწმენდად ვინ იხილა,

რომლისა ბუნებამ არს ელვარმ და მცხინვარმ,

ხოლო რადთა გიცნან შენ მხოლოდ ხატი ძლიერებისად,

შეეხი დღეს თოვად ცეცხლსა მას

ღმრთეებისა შენისასა.

შენ ხარ, ქრისტე,

სიბრძნე ღმრთისად და ძალი მისი.

¹⁰ Theodore Prodromos. Commentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 92.

კოზმას ტროპარის შინაარსი მომდინარეობს, როგორც აღვნიშნეთ, პავლეს ეპისტოლედან. ὅς ἄν ἀπαύγαμα τῆς δόξης καὶ χαρακτήρ τῆς ὑποτάσεως αὐτοῦ φέρωσ τε τὰ πάντα τῷ ῥήματι τῆς δυνάμεως αὐτοῦ, καθαρισμόν τῶν ἁμαρτιῶν ποιησάμενος ἐκάθισεν ἐν δεξιᾷ τῆς μεγαλοσύνης ἐν ὑψηλοῖς (ebr. 1,3).

რომელი-იგი არს ბრწვნივალება დიდებისად და ხატი ძლიერებისად მისხსად, უტვრთუენ ყოველნი სიტკვთა მით ძლიერებისა მისხსადთა თაჲსა მიერ თჳსისა, განწმედა ცოდვათა წყენთადყო, და დაჯდა იგი მარჯუენთ სიმდიდრესა მისხა მადალთა შინა.

ეპისტოლის ტექსტთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ კოზმა იმეორებს მოციქულის სიტყვებს: ἀπαύγαμα τῆς δόξης~ (ბრწვნივალება დიდებისად) ზუსტად და ოდნაი ცვლილებით Πατρός χαρακτήρ αἰδίου~ (კოზმა) ἡχαρακτήρ τῆς ὑποτάσεως αὐτοῦ~ (ეპისტოლე). ეპისტოლის ტექსტშიც და კოზმას ტროპარშიც საუბარია ქრისტეს დუთაებრივ არსზე, რაც მოციქულისეული ეპითეტებით არის გამოხატული ტროპარში. ამავე დროს კოზმა ტექსტს მხატვრული სახეებით თავისებურად ამდიდრებს. პირველივე ფრაზაში Ρυπτόμενος ἦλιος τις εἰδεν(მზე განწმედად ვინ იხილა) ἦλιος~ „მზე“ ქრისტეს სიმბოლოა. ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ორი ეპითეტი კოზმასთან ეპისტოლეს ანალოგიურია, ერთი კი ἦλιος~ თავად კოზმა შემოაქვს. ენახთ, როგორ არის ასახული ეს ეპითეტები ქართულ თარგმანში. ქართველი მთარგმნელი ბერძნული დედნის შინაარსობრივ მიმდევრობასა და სტილს ცვლის. დედნის კითხვით შინაარსის წინადადებები; ἔκπλησ~ ψαύσα τῆς σῆς Θεότητος~ გადმოაქვს თავისებურად „ხოლო რათა გიცნან შენ მხოლოდ ხატი ძლიერებისად / შევეხო დღეს თოჲა ცეცხლსა მას“. იგივე თოჲის დედნისეულ ეპითეტზეც ἀπαύγαμα τῆς δόξης~ „ბუნებად არს ელვარზე და მცხინვარზე“, Πατρός χαρακτήρ αἰδίου~ „ხატი ძლიერებისად“. როგორც ვხედავთ, ქართული თარგმანი სახარებისა და კოზმას ტროპარის შინაარსის განსხვავებულ ეარიოციას იძლევა. თარგმანში არ არის ასახული ალექსატურად ბერძნული ტროპარისა და ეპისტოლის ტექსტის ურთიერთმიმართება.

სრულიად განსხვავებულ დამოკიდებულებას გვიჩვენებს ქართული თარგმანი სახარების ტექსტთან, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ ბერძნულ დედანთან.

- 4) Συσελθόντων ἀπειρών λαῶν ὑπὸ Ἰωάννου βαλτισθῆται, αὐτὸς ἐν μέσῳ ἕσθη. προσεφώνει δὲ τοῖς παροῦσι./ τίς ἔδειξεν, ἀπειθεῖς, τῆν ὀργήν ἕμιν ἐκκλιναίτην μέλλουσας, καρποῦς ἀξίους Χριστῷ ἐκτελεῖτε. /παρῶν γάρ σὺν εἰρήνῃ χαρίζεται (V1)

მოელა კრებული ერისად ნათლისღებად
იორდანება, რაჟამს დგა იგი შორის,
და უდაღებდა: ნაშობნო იქედნეთანო,
ვინ გიწუნა თქვენ სიელტოლად მომაველისაგან,
აწ უკუნ-ყათ ნაყოფი,
ღირსი უფლისა წყენისა,
რომელსა თაყუანის-ვსცემთ.

კოზმას ამ ტროპარში მათეს სახარების გამოძახილია:

Ἴδων δὲ πολλοὺς τῶν Φαρισαίων καὶ Σαδδουκαίων ἐρχομένους ἐπὶ το βαπτισμα εἶπεν αὐτοῖς. Γεννηματ α ἐχιδνῶν, τίς ὑποδέξεν ἕμῃς φυγεῖν ἀπὸ τῆς μαλλούσης ὄργης (მათე 3,7).

და ვითარცა იხილა ფარისეველნი და სადუკეველნი, მომავლნი ნათლის-ღებად მისგან, პრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიწუნა თქვენ სიელტოლად მერმისა მისგან მომაველისა რისხვისა?

აშკარად ჩანს, რომ პიმნოვრაფი სახარების მუხლის თემას იმეორებს, ასევე მიჰყვება დედნის ტექსტს ქართული თარგმანი. ყურადღებას შევანიერებთ კოზმას ტროპარის ერთ სიტყვაზე ἀπειθεῖς~ (ურწმუნნი) ამ სიტყვით პიმნოვრაფი ცვლის სახარების სიტყვებს: Γεννηματα ἐχιδνῶν~. ტროპარის ქართულ თარგმანში კი გადმოტანილია სწორედ სახარებისეული ციტატა „ნაშობნო იქედნეთანო“ და განმეორებულია სახარების ქართული თარგმანის შესაბამისად თითქმის მთელი ფრაზა. „ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიწუნა თქვენ სიელტოლად მერმისა მისგან მომაველისა რისხვისა“.

(სახარება) „ნაშობნო იქედნეთანო, / ვინ გიწუნა თქვენ სიელტოლად მომაველისაგან (კოზმა). ამ შემთხვევის მიხედვით ძნელია ვიფიქროთ, რომ კანონის ქართველი მთარგმნელი მიმართაუდა სახარების თარგმანს, უფრო მეტად დასაშვებია სხვა მოსაზრება. სახარების აღნიშნული ფრაზა იმდენად ცნობილია, რომ კანონის მთარგმნელს ზეპირად უნდა სცოდნოდა, მით უმეტეს, რომ ტროპარის ბერძნული დედანი სწორედ სახარების ამ სიუჟეტს იმეორებს ზუსტად და

ამიტომაც მთარგმნელმა გაასრულადაც წართო აღნიშნული ურასა ნაცვლად კოსმასეული 'ἀπειθεῖς'-ისა.

ეურადლებას შეკანერებთ განცხადების კანონის VII ოდის პირველი ტროპარის თარგმანზე.

- 5) Γεινηθεῖς ἀρρεῖστας ἕκ Θεοῦ καὶ Πατρὸς, / ἕκ τῆς Παρθένου δὶχασαρκουταίρπου Χριστός, / ὄν τὸν ἱμάντα, τὴν ξέ ἡμᾶν τοῦ Λόγου συσάφειαν, / λύειν ἀμήχανον, διδάσκει ὁ Πρόδρομος, / γηγενεῖς ἕκ πλάτης λυτροῦμεν ὅς (VI).

შობილი მამისად

შეუგინებელად ქალწულმან გვშეა, რომლისად თქუა იოჳანე:

ვერ შემძლებელ ვარ

ღირსად საბელისა ჳამლთა მისთასა ტვრთეად, ესე მდგომარე არს

შორის თქუენსა გამოცნსნისათვის

ტრწნილებისაგან და სიკუდილისა.

კოსმას ამ ტროპარში ელოჳიავინი ღუკას სახარების შინაარსს ხედავს ¹¹. მოვიტანთ შესაბამის მუხლებს:

Μὴ ποτὲ αὐτὸς εἶη ὁ Χριστός, ἀπεκρίνατο λέγων πᾶσις ὁ Ἰωάννης: ἔγω μὲν ἕδατι βαπτίζω ὑμᾶς. ἔρχεται δὲ ὁ ἰσχυρότερος μου, ὃς οὐκ εἰμι ἰκανὸς λῆσαι τὸν ἱμάντα τῶν ὑποδημάτων αὐτοῦ. (ღუკ. 3,16)

მიუგო ყოველთა და ეტყოდა: მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა: მოეაღს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ღირს ვარ ჳამლთა მისთა ტვრთეად.

კოსმას ტროპარში სახარების ტექსტის ზუსტი ციტაცია არ გეხედება, მაგრამ აშკარად ჩანს თუ სახარების რომელ მუხლს ეყრდნობა ავტორი 'ὄν τὸν ἱμάντα ... λύειν ἀμήχανον διδάσκει ὁ Πρόδρομος' (შეუძლებელია საბელთა დახსნა – გეასწავლის წინამორბედი).

ტროპარის ქართულ თარგმანში კი სახარების შესაბამისი ადგილიდან მთელი წინადადება თითქმის უცვლელად არის გადმოტანილი „ვერ შემძლებელ ვარ / ღირსად საბელსა ჳამლთა მისთასა ტვრთეად“.

ანალოგიური შინაარსის სიუჳეტია მოცემული მათეს სახარების 3.11 მუხლში: ὄν οὐκ εἰμι ἰκανὸς τα ὑποδήματα βαστάσαι (ვერ შემძლებელ ვარ მე ჳამლთა მისთა ტვრთეად). ორი სახარების მუხლთა შედარებით ჩანს, რომ ღუკას სახარების ბერძნული ტექსტი ქართულად ზუსტად არ არის თარგმნილი (არა ვარ ღირსი, რომ გაეხსნა მის საბელთა საბელნი), ხოლო მათეს სახარების ქართული თარგმანი ასეთია „არა ღირს ვარ ჳამლთა მისთა ტვრთეად“, ე.ი. ღუკას და მათეს სახარებთა აღნიშნული ტექსტობრივად ერთმანეთისაგან განსხეავებული მუხლები ქართულად ერთნაირად არის თარგმნილი.

დაეუბრუნდეთ ტროპარის ქართულ თარგმანს. „ვერ შემძლებელ ვარ / ღირსად საბელისა ჳამლთა მისთასა ტვრთეად“. იგი ნათელყოფს, რომ მთარგმნელი, ერთი მხრივ, იცნობს და იყენებს სახარებისეულ თარგმანს და, მეორე მხრივ, ტროპარის დედნის სიტყვას „τα ὑποδήματα“ თარგმნის. ეს მაგალითი აშკარა დადასტურებაა იმისა, თუ როგორი თავისუფალი დამოკიდებულება აქვს მთარგმნელს როგორც კოსმას ტექსტის, ასევე სახარების თარგმანთანაც. საკუთარი ინტერპრეტაციის მიხედვით ცვლის და იყენებს ორივე ტექსტს.

ჩვენს აზრით, საყურადღებოა კანონის VIII ოდის პირველი ტროპარის თარგმანიც, რომელშიც ჩნდება დედნისგან განსხეავებული სახარებისეული ციტატა.

- 6) Ἀπόθου φέρον ἅπαντα, ὁ Λυτρωτῆς τῶ Προδρόμα ἐφήσειν./εἰμοὶ δὲ πειθάρχει, ὡς χριστῶ, μοὶ πρόσελθε. / τὸν το γάρ φήσει πέφικα.εἰμὲν προστάγματι εἰξῆσ, / καὶ βαπτισῶν με συγκαταβάνα./ ὄν εὐλογοῦνσι λαοὶ καὶ ὑπερο ψῶνσιν εἰσπάντας τοὺς αἰῶνας (VIII)

წინამორბედსა პრქუა მცნენლმან:

ყოველი შიში განაგდე და მორხიდ მექმენ,

მიიდე და ისწაე, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბლ გულითა

და ჳმასა ცემსა ჳმსახურე

და ნათელ-მეც გამოუკუღმეველად,

¹¹ Е. Ловягин. Богослужбные каноны на греческом славянском и русском языках. СПб. 1875, стр. 18.

რომელსა მიღადადებს ყოველი სული მე უკუნისამდე.

თუოდორე პროდრომოსს ტროპარის კომენტარებისას მოჰყავს სახარებისეული ციტატა:
ὁ δὲ Ἰησοῦς εἶπεν αὐτῶ: τι με λήγεις ἀγαθόν, οὐδέεις ἀγαθός εἰ μὴ εἰς ὁ Θεός
(ლუკ. 18,19).

ხოლო იესუ პრქუა მას: რადას მეტკვმე სახიერთ? არაეინ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლოდ“.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში კოზმას ტროპარის სახარების ციტატასთან მიმართება ერთი შეხედვით მკაფიოდ გამოხატული არ არის, მაგრამ კანონის კომენტატორი თელის, რომ მასში არეკლილია სახარებისეული ფრაზის შინაარსი. საკითხის უკეთ წარმოსახენად მიმართაეთ პროდრომოსის განმარტებას. კომენტარის თანახმად, შესაძლოა ტროსტე, უფალი არის თავად სახიერი ბუნებით, სახიერი ἄγαθός~ არსის მქონე და სანდო. ამიტომ კოზმას სიტყვები: ἔμᾱ προστάγματι εἶξοθ. ἐμοὶ δὲ πειθάρχει~ (მორილ მექმენ) გულისხმობს „მენდე და მიყახლე ჩემს სახიერებას“¹². ამ განმარტებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება სახარების პიწოგრაფისეული ინტერპრეტაცია მაცხოვრის ნათლისღების სიუჟეტის გადმოცემისას, როცა უფალი მიმართავს იოანე ნათლისცემელს: Ἐπίθου φόνθ ἄπαντα, ... ἐμοὶ δὲ πειθάρχει~ (ყოველი შიში განაედე და მორილ მექმენ). ამგვარი კავშირი პოეტურ ტროპარსა და სახარების ფრაზას შორის კიდევ უფრო გამოკვეთილია ტროპარის ქართულ თარგმანში, სადაც დამატებით შემოტანილია სახარების სხვა ციტატა: „მიიდე და ისწაე, რამეთუ მშუდ ეარ და მდაბალი გულისთა“ (მათ. 11,29). ეს ფრაზა მეტ მხატვრულობას ანიჭებს ტროპარს და უფრო ნათლად ასახავს სახარებისეული ტექსტის გაეუნენას.

მათეს სახარების 3,17 მუხლის საინტერესო ინტერპრეტაცია გვხვდება VIII ოდის მესამე ტროპარში.

- 7) Τριαδὸς ἡ φανέρωσις ἐν ἰσραὴλ γέγινεν./ αὐτῆ γὰρ υπέρθεος φύσις, ὁ Πατήρ ἐφάνησεν./ οὐτός ὁ βαπτίζῶν εἶσος Ἰησὺς ὁ ἀγαπητός μου./ τὸ Πνεῦμα συμπληρῆν τῶ ὁμοίῳ./ ὅν εὐλογοῦσι λαοὶ καὶ ὑπερψοῦσιν εἰς πάντας τοὺς αἰῶνας (VIII)

ახლა მოვიყიანთ თავად სახარების ციტატას:

καὶ ἰδὸν φασὶ ἐκ τῶν ἰσραῆλιν λέγουσα Οὐτός ἔστιν ὁ Ἰησὺς μου ὁ ἀγαπητός ἐμῶ εὐδόκησα (მათ. 3,17).

და კმად იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძმ ჩემი საეუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ.

სახარების ამ მუხლში იქ ღეთისას განცხადებაა გადმოცემული, ამავე შინაარსს იმეორებს კოზმა ტროპარში, ოღონდ არა სახარების ციტატას სახით. ბუნებრივია, იგივე თემა წარმოსენილი ტროპარის ქართულ თარგმანში, თუმცა განსხვავებულად.

განცხადნა დღეს იორდანეს სამება,

უსემთაესი ყოველთა კაცთა გონებათა,

მამად ზეცით წამებდა ზისა სიუეარულისთვს

და სული წმიდამ იხილვა

სახედ ტრედისა გარდამოსრული, რომელსა ეაკურთხევე

ჩუენ და აღეამადღებთ მას უკუნისამდე.

ქართველი მთარგმნელი, ბერძნული დედნისაგან განსხვავებით, სახარების ფრაზას „ Ἰησὺς ἔστιν ὁ Ἰησὺς μου ὁ ἀγαπητός ἐμῶ εὐδόκησα“, რაც ტროპარის ბერძნულ ტექსტში ზუსტად მეორდება, თხრობითი ფორმით გადმოსცემს. „წამებდა ძისა სიუეარულისთვს“. სამაგიეროდ, სული წმიდის გარდამოსეღის სიუჟეტს კი, დედნის ტროპარისაგან განსხვავებით, ზუსტად სახარებისეული სახე-სიმბოლოთი გამოხატაეს: „და სული წმიდამ სახედ ტრედისა გარდამოსრული“ (ტროპარის ქართული თარგმანი). „სული ღმრთისად გარდამომავალი, ვითარცა ტრედი“ (მათ. 3,16). როგორ აისხნება ეს შემთხვევა? აქაც, ვფიქრობთ, როგორც ზემოთ აღნიშნულ მაგალითებში, სამების განცხადების სიუჟეტი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, ტროპარის ქართული მთარგმნელი, თარგმანის პრინციპიდან გამომდინარე, თავისებური ინტერპრეტაციით გადმოსცემდეს ნაცნობ ეპიზოდს. ერთი მხრივ, კოზმას ტექსტის მიხედვით, და მეორე მხრივ, თვით სახარების მუხლების ანალოგიით.

¹² Theodore Prodromos. Commentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 97.

გამოვეოფთ კანონის IX ოდის მეორე ტროპარს. ეს სტროფი, თეოდორე პროდრომოსის თანახმად, ერთდროულად ძველი აღთქმის ესაიას წინასწარმეტყველებასა და იოანეს სახარებასთან არის დაკავშირებული.

8) Ἡσαΐας λούσασθε, καθάρητε, φάσκει./ τας ποτηρίας ἔναυτι ἀφέλεσθε Κυρίοι διψῶντες ὑμῶρ ἐπὶ ζῶνι πορεῦσθε. ῥάναί γάρ ὑμῶρ καινοποῖον Χριστός τοῖς προστρέχουσιν αὐτῶ πίστει, / καὶ πρὸς ζῶνι τῆν ἀγῆρᾶ βαπτίζετ Πνεύματι (IXa)

თქვა ესაია;
განიბანენით, განიწმიდენით,
და მოისპეთ დღეს
უკეთებრებად სულთაგან თქუნეთა.
რომელთა გწყურის,
წარვედით თქვენ წელად ცხორებისად,
სხურებითა წყლისადთა ქრისტემან
განაახლნა დღეს ეუველნი
ნათესაენი, ღირს-ყენა
ცხორებასა საუკუნესა.

პროდრომოსის კომენტარიდან გამომდინარე, ამ ტროპარში ერთად არის წარმოდგენილი ძველი და ახალი აღთქმის თემატიკა და სწორედ ამ თვალსაზრისით არის იგი საინტერესო¹³. კოსმას ტროპარში ნანს „წყლის“ სიმბოლო, რომელსაც ორგვარი მნიშვნელობა აქვს: წყალი, როგორც ცოდვითაგან განმწმენდილი, რომლითაც ნათლისღება აღსრულდება და წყალი, რომელიც სოფიური საზრდოს აღგებობაა, მარადიული სიცოცხლის მომნიჭებელი. ეს უკანასკნელი სიმბოლო მომდინარეობს იოანეს სახარების 4,14 მოხლიდან:

ὅς ἂν πίητ ἐκ τῶν ὑδάτων οὐ ἔσῃ δῶσα αὐτῶ οὐ μὴ διψῆσει εἰς τὸν αἰῶνα, ἀλλὰ τὸ ὑμῶρ ὃ δῶσα αὐτῶ γεινῆσεται ἐν αὐτῶ πηγῆ ὑδάτων ἀλλομένους εἰς ζῶνι αἰῶνα (იოან. 4,14).

ხოლო რომელმან სუას წყლისაგან, რომელი მე მივსცე მას, ექმნეს მას შინა წყარო წყლისა, რომელი ეიდოდის ცხორებად საუკუნოდ.

ამრიგად, განვიხილეთ კოსმა იერუსალიმელის საუფლო დღესასწაულების(ქრისტესშობისა და განცხადების) კანონთა ტექსტობრივი მიმართებანი ძველი და ახალი აღთქმის წიგნებთან. წარმოვადგინეთ სვენი დაკვირვებანი, თუ როგორი გამოძახილი პოვა ამ მიმართებებმა ქართულ პოეტურ თარგმანებში. ვფიქრობთ, აღნიშნულმა დაკვირვებებმა წარმოაინა საინტერესო სურათი. კოსმა, როგორც პოეტი, ძირითადად ბიბლიური სიუჟეტების სახე-სიმბოლოებს ეყრდნობა. ზოგჯერ ზუსტი ციტაციაც მოჰყავს წმინდა წერილის შესაბამისი ნაწილებიდან, ზოგერთ შემთხვევაში კი აშკარად ელინდება მისი ინდივიდუალური შემოქმედება, მაშინ როცა ბიბლიურ სიუჟეტსა თუ სახეს გარკვეულწილად მხატვრული ინტერპრეტაციით გამოხატავს. განსაკუთრებით გამორჩეულია კოსმაიერუსალიმელის პოესია შინაგანი ღირისმით, რაც ერთდროულად ღოცვა-ეგდრებისა და უღრმესი თეოლოგიური შინაარსის ერთიანობით ცხადდება.

სემთო განხილული ქართული თარგმანების მიხედვით, რიგ შემთხვევებში, მთარგმნელი ითავისებს და იმეორებს ჰიმნოგრაფის შექმნილ პოეტურ ხატს ისეთივე მიმართებით ბიბლიურ წიგნებთან, როგორც ეს თავად დედანშია წარმოდგენილი. ზოგჯერ კი მთარგმნელი რამდენადმე ცვლის კოსმას მხატვრულ სახეს, ხან მასში ასახული ბიბლიური ციტატის გაერცობით ან შეკვეცით, ხან სრულიად უგულებელყოფით. იმავედროულად იგი წარმოდგება, როგორც შემოქმედი, რადგანაც ბიზანტიურ პოესიას თარგმანში პოეტურ სახეიანებას არ უკარგავს.

¹³ Theodore Prodromos. Comentarii in Carmina Sacra melodorum Cosmae Hieroslymitani et Ioannis Damascini. Ed. H.M Stevenson. Rome, 1888, p. 97.

The relationship of Cosma Jerusalem's Canons of the Lord's Feasts to Biblical books and their reflection in Georgian translations of Iadgari

Resume

The paper deals with Cosma Jerusalem's relationships of the Canons of the Lord's Feasts to biblical books. It is revealed how these relationships are reflected in proper Georgian translations. A conception, that Byzantine hymnography basis on and uses Biblical symbol-characters is accepted in scientific literature and the individualism of separate hymnographer is expressed in what kind of interpretation he presents Biblical characters. Reflection of subject matter of new and old testament in Cosma Jerusalem's hymnography is interesting with this point of view. Poetry of Cosma is characterized in the following way: "HymnographerCosma gets wisdom of the Holy Scripture and spreads it in various Canons, which creates common theme for the whole Canon and treats different details of the theme in the limits of ode" (Th. Detorakis).

Theodore Prodromos points to the connection of Biblical symbol-characters and Canons of the Lord's Feasts in his commentaries.

The main axis of Cosma's poetry is the treatment of Evangelical theme, his artistic characters aren't described with external smartness. Basic principle of poetry is the motion of the immovable icon or pictorial description of the phenomenon with which creation of aesthetic character is achieved. On the basis of studying relationship between the text of Canons of Nativity, Theofania and their translations to Biblical books, it has been proved that Cosma mainly changes Biblical theme or quotation and in certain cases gives their precise citation. In most cases, in Georgian translations of Canons is adequately repeated the directions presented in Cosma's poetry. In Georgian translations some cases were confirmed, when Georgian translator concretizes content of Biblical phrase given in original.

Thus Georgian translations of Cosma's poetry present creator-translators who in certain cases give the images and subjects (descended from Biblical books) of Cosma's Canons sometimes analogically to original and sometimes distinctively.